ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგი

5

გამოცემის, 56-ე წელი, (№ 1543)· მარტი 1979, ფასი 20 კაპიკი·



ნახ. ჭ. დეისაძისა

— ბევრი ქამარი კი შემოუჭერიათ, მაგრამ ვაინც აუწყვეტია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კი არ მოვიდა...

მიწა წვიმებით დაითრო,
საოცარია თვით ფაქტი:
კი არ მოვიდა, აითო —
ენძელა — ზამთრის ინფარქტი!

საგაზაფხულო იმედი
კვლავ რომ არ გაბაწრულიყო,
კი არ მოვიდა, მივედით
და ვთხოვეთ წამოსულიყო.

ვინ თქვა, ჭორად ვინ მოჰფინა
კაცთაგან თქვენი ღალატი,
კი არ მოვიდა, მოფრინდა,
თქვენი დღე — ჩვენი 8 მარტი!

**ზაზა კაციაშვილი**

ნახ. მ. ასლამაზაშვილისა



## დიალოგი

— დამისხი!
— კონიაკი?
— აბა, სხვა რა?!
— სიგარეტს მომიკიდე!
— კი.
— ჩექმა გამხადე!
— ღმერთო, მიშველე!
— ერთი, ეს შარვალიც დამიუთოე!
— არის!
— მტვერსასრუტი ჩართე, სარეცხი გაფინე!..
— კარგი, ქალო, რვა მარტს მაინც დამასვენე, კაცი გავწყდი წელში!

ა. ა.

## ვის რა...

სიდედრს შეაგნებინე, რომ სოფელში მატარებლით სიარულს საკუთარი მანქანით სიარული სჯობია.

მეუღლეს ჩამოუგდე ლაპარაკი, რომ პირველიდან ხელფასს მოგიმატებენ, მაგრამ თვე არ დაასახელო.

შვილები დაარწმუნე, რომ მათი ზომის ჯინსები არ იშოვება.

მეზობლებს ელაპარაკე გარაჟის თაობაზე, თუნდაც მანქანის რიგში დადგომასაც არ აპირებდე.

სამსახურში დირექტორს აგრძნობინე შენი სიხარული იმის გამო, რომ იგი ჯერ არ მოუხსნიათ.

თანამშრომლებს საიდუმლო სახით შეპირდი განდობას ახალი ამბისა, რომელიც არც შენ იცი.

მოლარე დაარწმუნე, რომ არითმეტიკა შენთვის უცხო ხილია.

**ანდრო კოკოლია**

## ცოლი მინდოდა მეთხოვა

ცოლი მინდოდა მეთხოვა
მოდას ნაკლებად აშყოლი,
შვილების მოსიყვარულე,
მეუღლის ამყოლ-დამყოლი.
პაპიროსმოუწეველი,
შამპანურდაულეველი,
უშარვლო, შეუღებავი,
არც ისე შეუხედავი.
არ შეერცხვინა ქართული
მამაპაპური მანდილი,
აყალმაყალის გარეშე
ემზადა ვახშამ-სადილი...
მასეთ ქალს დღეს ვერ იშოვი,
რა ცუდი ბედი გრგებია,
მასეთი, შვილო, მე ვარო,
მითხრა მეზობლის ბებიამ.

**ზურაბ მამულაშვილი**

## ნ ა ქ ვ ე ს ე ბ ი

● **პირველულმა ქალმა** თქვა: რაც უფრო მეფერებიან, უფრო ვიფერებო.

● **ქალებმა** თქვეს: ქვეყნის ძლიერების წყარო ვართ და მაინც სუსტ არსებებად გვთვლიანო.

● **მრავალშვილიანმა დედამ** თქვა: შვილები წლებს კი არ მართმევენ, არამედ მიხანგრძლივებენო.

● **ქალიშვილებს** ახსოვდეთ, რომ მომავალი დედები არიან, ხოლო ქმარშვილიანებმა არ დაივიწყონ, რომ ისინიც იყვნენ გოგონები.

● **ნუ გავიწყდებათ,** რომ თქვენც რძლები იყავით, ავო დედამთილებო!

● **გამოუცდელო ქალებო,** ნუ გაანებივრებთ მამაკაცებს ზედმეტი ყურადღებით, ისინი გულგრილობით გიპასუხებენ.

● **ძალაუფლებისმოყვარე ცოლებო,** მამაკაცში დაინახეთ მხოლოდ მეგობარი და არა მეტოქე.

● **ეჭვიანო ცოლებო,** უსაფუძვლო ეჭვიანობით საფუძვლიან უნდობლობას ნუ უწყობთ ხელს.

● **სიყვარულში იმედგაცრუებულო ქალებო,** გახსოვდეთ, სიყვარული ჭრილობაა და არა მალამო.

**ალმანზორ თავაძე**

ნახ. ვ. აზაშიძისა



— ქმარს იმიტომ კი არ გავყევი, რვა მარტსაც შენთან იჯდეს თათბირზე!!!

# გოგონები იცინიან

— ელიკოს მუცელი ასტკივდა, — მითხრა ცოლმა და ლოჯიიდან გადამახედა.

დაბლა „სასწრაფო“ იდგა. ჩვენი ორმოცდარვაბინიანი სახლი წელს უკვე მეშვიდე ქალს ისტუმრებდა სამშობიაროში. დანარჩენი ექვსი მშვიდობიანად დაგვიბრუნდა, მაგრამ მარტო დაბრუნება როდი იყო საქმე. ვერ იქნა და ვერ გატყდა ნავსი — გოგოებმა აგვიკლეს, გოგოების შემოსევას ვეღარ ვუძლებდით.

მთელი ის დღე და ღამეც დაძაბულ სიჩუმეში გავატარეთ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ორი გოგოთი უკვე დაჯილდოებული ელიკოს ქმარი ავად ატრიალებდა თვალებს.

უთენია მალემსრბოლი მოიჭრა სამშობიაროდან. რვავე სართულის ლოჯიები ყურებდაცქვეტილი პორტრეტებით შევსებულ საგამოფენო დარბაზის კედელს დაემგვანა.

— თქვი, ბიჭო, რა ბოქლომი დაიდევი ენაზე! — აჯანჯღარებდნენ მალემსრბოლს.

— გოგოა! — უროს დარტყმასავით გაისმა ეზოში.

საგამოფენო დარბაზის კედლიდან მაშინვე აკრიფეს ყურებგადმოჩაჩული პორტრეტები. ავისმომასწავებელი დუმილი ჩამოწვა. უროდარტყმული მიტო ბარბაცით წავიდა, მაგრამ გზა ვერსაით გაიკვლია და იქვე გაჩერდა.

ეზო გოგოს მამებით გაივსო. ჯერ სამგოგოიანებმა მიულოცეს მიტოს, მერე ორგოგოიანებმა, ერთგოგოიანები შორიახლო იდგნენ.

— გაძლიერდი, გამრავლდი, მეოთხე ბიჭი ყოფილიყოს.

მიტო თვალებს აბრიალებდა და ვითომ ვიცინიო — ლაგამამოდებული ცხენივით ახრჭენდა ყვითელ კბილებს. უშვილძირო იორდანეც გაერია მარაქაში, ბიჭის პატრონებიდან კი არავინ გამოჩენილა.

ნორჩი ჭადრების ძირში, გრძელ სკამთან, მაგიდა მიაჩოჩეს, ზედ ღვინის ბოთლები შემოდგეს, სვამდნენ და ძალაუნებურად მხიარულობდნენ. ვინც ვაჟკაცი ბიჭები ვართ, სულ აქა ვართო, ბიჭები უწინ ჟიჟმატა ხალხს უჩნდებაო. ათასნაირად იგესლებოდნენ. იორდანე ხმამაღლა ხარხარებდა, რა ენაღვლებოდა, ის ხომ არც აქეთ იყო, არც იქით. ბიჭების პატრონებს ყველაფერი გვეყურებოდა, მაგრამ ვერავინ იკისრა გამოჩენა.

— ერთი ამათ დამიხედეთ, ლამის მანიფესტაცია არ გაგვიმართონ? და მერე რაზე. ვინ არის ამ ღვთის გლახების დასაწუნებელი, ჩვენ? — აქოჩრილ ქალურ თავმოყვარეობას ჩემი ცოლისთვის ყურმილი აელებინებინა, ვიღაცას შესჩიოდა.

სად იყო და სად არა, სანაგვე მანქანამ შემოუხვია და სადარბაზო შემოსასვლელთან გაჩერდა. ჩვენი ყელმძივა მეეზოვე დილბარა მაშინვე გაეგება, ხელში თავისი განუყრელი გრძელტარა ცოცხი ეჭირა.

„სულ გოგოები ჩნდება, ეს რა ამინდია, ღვინოში ვიხრჩობით, ცეცხლი გვიკიდია“ — როგორც დაბმული ძაღლები მთვარეს, ისე შეჰყმუოდნენ დილბარას მოქეიფენი.

— რა მოსვლიათ, რაზე ტირიან? — იკითხა შოფერმა.

— უთხრეს, რისთუნ ბიჟი არ მოიდა, რისთუნ გოგო მოიდა. სულელი! რას უნდა იტირო? შული მოიდა, ფული მოიდანა... ჩემთან სხრა შული მოიდა, — დილბარამ წინ წამოზრდილ მუცელზე დაირტყა ხელი და თავის ენაზე რაღაცა შესძახა მაღლა, მეორე სართულზე: მისი ოთხოთახიანი ბინის ლოჯიაზე ჯერ შავთმიანი გოგონები გამოჩნდნენ და ხალისიანად გაეპასუხნენ დედას, მერე თავგადახოტრილი ბიჭები მოადგნენ მოაჯირს და რკინის რიკულებშუა დაიწყეს ჭვრეტა. დილბარამ გრძელტარა ცოცხი შემართა, მაღლა გაიშვირა და ყველა იქით გაახედა.

— აბა ნახოს, თუ მართალი არ იღოს. გოგოები სოტა მეტიჩარა არის, წინ მოიდა, ბიჟი სოტა ზარმასი და ჯგუანი, მერე მოიდა. როგორს ტრამაიში ბიჟი გოგო წინ გაუშა, აქას წინ გაუშა. თქონთან სოტა გააშინა უნდა, სულ ბიჟი უნდა. მე თქონი სოლი იღო, სულ არ შეშომ სახლში.

რვავე სართულის ლოჯიები კვლავ საგამოფენო დარბაზის კედელს დაემგვანა. დილბარას საღებავებით მოსვრილს უგავდა ფერადი კაბა, გრძელტარა ცოცხი მხატვრის ფუნჯივით ეჭირა ხელში და ყურებამდე პირღია მოხარხარე პორტრეტებს, თითქოს ახალი შტრიხით ავსებდა.

მისი გოგონები ყველაზე ხმამაღლა იცინოდნენ.

ელგუჯა მერაბიშვილი

ნახ. ჭ. დეისაძისა





— ჩემს ანგარიშში სტყორცნე და ჟუვაჩკები ჩემზე იყოს!

## შეიძლება არც ითქვას!

ასჯერ გაზომე და მიხვდები, რომ გაჭრა არ დაგჭირდება.
თევზი წყალში კი არა, კონსერვის კოლოფში დაფასდება.
არც მწვადი დაწვას და არც მზარეულის სინდისი.
ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო, ისე ძვირი იყო!
ახალი ცოცხი კარგად გვის, თუ ნაგავი ცოტაა.

ა. კ.

ნახ. ელისო მაყაშვილისა



— ასე ძირფესვიანად რომ დაგიგლეჯია, მომავალი რვა მარტი რაღათი გინდა მომილოცო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოჯახური ფილოსოფია

სარვამარტოდ ულტრამოდამ ერთხელ კიდევ ჩამიქროლა თავბრუდამხვევი სიჩქარით და ჩემი ცოლი თავის ორბიტაზე წარიტაცა:

— იაპონური დათვის ქურქი მინდა! — იყო მისი „კოსმოსური“ მოგზაურობის შედეგი.

მეორე დღეს, სამსახურში ძლივს მივლასლასდი, დავჯექი მაგიდასთან და ჩემდა უნებურად ფილოსოფიაში გადავვარდი.

„ამ ქვეყნად ყველაფერი ცვალებადია, უცვლელია მხოლოდ ის, რომ ყველაფერი ცვალებადია“. ამ ორი ჭეშმარიტებიდან, ერთი გენიოსური დასკვნა გამოვიტანე, რომ ამ ქვეყანაზე ყოფილა უცვლელი რამეც, მაგალითად, ჩემი ხელფასი. აქ ტვინში რაღაცამ სასიამოვნოდ შემიღიტინა და აი, ახალი დასკვნაც: ხელფასი არსებობს ჩემი უფროსის ცნობიერებისგან დამოკიდებულებით და მოცემულია ჩემი ცოლის შეგრძნებებში. შემდეგ: მოძრაობა არის ხელფასის არსებობის წესი. მართლაცდა, იგი განუწყვეტელ მოძრაობაშია: ბანკიდან სამსახურისკენ, სამსახურიდან ჩემსკენ, ჩემი ჯიბიდან ცოლის ხელჩანთისკენ და ა. შ. თვითონ ხელფასის აბსოლუტური სიდიდე და მიმართულება კი უცვლელია.

ამ საკითხში ჩემი უფროსი ეყრდნობა ჰერაკლიტეს, რომ „ქვეყნად მარადიული არაფერია“. მე არ ვეყრდნობი ჰერაკლიტეს, რადგან მან ვერ განჭვრიტა XX საუკუნის არსი, თუმცა ჩემს შეხედულებას უფროსს არ ვუმხელ, რადგან კარგად ვიცი, რომ „კამათში მხოლოდ მაშინ იბადება ჭეშმარიტება, როცა უფროსთან არ კამათობ!“ ჩემ თავთან კამათში კი, იცოცხლე, ტყუპებივით იბადებიან ამგვარი ჭეშმარიტებანი:

„საყოველთაო არის ის, რაც საერთოა ადამიანების ძირითადი მასისთვის, ე. ი. — ხელფასი. ჩემი ცოლის არსება მოდაშია. მოდა განსაზღვრავს ცოლის ჩემს წინაშე მოვლენას. ჩემი ხელფასი არის ჩემი სინამდვილე. ცოლისთვის კი სინამდვილე მოდაა. მე მის სინამდვილეში ვარ უნიჭო და უტვინო. რასაც ჩემი ცოლი აუცილებლობად თვლის, მე სულაც არ ვთვლი იმას აუცილებლად, მაშინ ცოლი იმუქრება, რომ არც მე ჩამთვლის აუცილებლად და, მე იძულებული ვხდები, ქურქი ჩავთვალო აუცილებლად. ცოლი მთლიანად უარყოფს შემთხვევითობას. მაგ.: ჩემს ძმაკაცებთან შეხვედრას, ექსკურსიაზე წასვლას და ა. შ.

იგი ფატალისტია — წამს ბედის გარდუვალობა და მშვიდად ელოდება ქურქს.

ამგვარი ფილოსოფიური მსჯელობით თანდათან გამოიკვეთა ჩვენი ოჯახის დაპირისპირებული მხარეები: მე და ჩემი ცოლი. ჩვენი ერთიანობა გამოიხატება 2 წლის ბავშვით. ჩვენს შორის რომ „ცივი“ ომია, ეს ფაქტია. ცოლს ქურქის გარეშე არ შეუძლია ცხოვრება, მე — ცოლის გარეშე... რომ შემეძლოს, მოვკლავდი იაპონურ დათვს.

სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში აზროვნების ჰორიზონტზე გამოჩნდა ჩემი ფილოსოფიის გვირგვინი — „უარყოფის უარყოფა“. იგი მალამოსავით მოესალბუნა ნოსტალგიურად ჩემს სევდიან გულს და შედეგმაც არ დააყოვნა:

ცოლი, რა თქმა უნდა, არ უარყოფს ქურქს, მაშინ მე უნდა უარვყო ცოლი და მოვთხოვო განქორწინება; მაგრამ არც მე დავრჩები უარყოფილი: ჩემი შვილი უარმყოფს მე და მომთხოვს ალიმენტს; მე იძულებული შევიქმნები, უარვყო უფროსი და მოვთხოვო ჩემი ხელფასის მომატება. ჩემი უფროსი კი უეჭველად მეორედ უარმყოფს მე და არ მომიმატებს ხელფასს. წრე ჩაიკეტა. გამოსავალი ერთადერთია:

— უფროსი უნდა მოვსპო! — ამ სიტყვებით დაირღვა ჩემი აზროვნების კრიალოსანი და კისრისტეხვით უფროსის კაბინეტისკენ გავვარდი. კაბინეტის წინ პანტერასავით ჩავისუნთქე და, ის იყო, კარებს უნდა ვცემოდი, რომ კადრების განყოფილების გამგის მხიარული ხმა შემომესმა, რომელმაც ჩემი ფილოსოფია ხუხულასავით დაშალა:

— მომილოცავს ხელფასის მომატება, უფროსმა უკვე მოაწერა ბრძანებას ხელი!

სამუშაოს შემდეგ მეგობრებისგან ფული ვისესხე და ცოლს სარვამარტოდ სპეკულანტისგან იაპონური დათვის ქურქი ვუყიდე. კმაყოფილი მოვდიოდი სახლისკენ და ვფიქრობდი: „რა კარგია, ყველაფერი ასე რომ დამთავრდა! ცოლმა არ უარყო ქურქი, მე — ცოლი, ბავშვმა — მე, მე — უფროსი და, რაც მთავარია, უფროსმა — მე. იგი ჩაწვდა XX საუკუნის არსს.

მალხაზ ცოტაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ლაწირაკი ჩემ სკამზე არა მსვამს და სამსახურში ადგილს დაუთმობს ვინმეს?!

## ბარდლა ტელეეკრანზე

სადღაც, სულ შორს, ბაზარზე
ბარდლა ჰყიდის მანდარინს,
თუმცა გამოფენაზე
საქართველო არ გზავნის,

ტაშით არ ეგებება
ხალხით სავსე ვაგზალი,
ფეხით შემოუვლია
ქვეყნად ყველა „ნაკრძალი“...

გადუზიდავს ვაგონით
მას ერთი წლის საგზალი.
თუმცა ნაციხარია,
ნემსის ყუნწში გამძვრალი...

და, ჰა, დღეს ცოლს მოსწერა
ნაღვლიანი უსტარი:
ო, შენს დაბადების დღეს
ველარ ჩამოვუსწარი.

მსხვილ ფულებს რომ ვუთვლიდი
აქ შეძენილ დამქაშებს,
შენი ბარდლა ბედკრული
სწორედ მაშინ გამქაჩეს...

შენ ხომ იცი, ციხის გზა
ჩემი თანამგზავრია,
დღეს მშობლიურ ბაზრიდან
კვლავ ციხეში მგზავნიან.

შენკენ მომიხაროდა,
მაგრამ როდი მადროვეს,
კაბა, შენთვის ნაყიდი,
ბაზრის კართან დავტოვე.

არ შეშინდე, ქუჩუჩი,
პური ხომ გაქვს ბეღელში?!
ფული, ჯიბის ფუჩეჩი,
ისევ მოვა ჩვენს ხელში.

გამიგონე, სულიკო,
მე გაფიცებ შენს გაჩენს,
ეს ამბავი სოფელში
არ აცნობო დედაშენს!

არ დამღუპო, ქუჩუჩი,
აიცილე ინფარქტი,
თუ ხვალ ტელევიზორში
ნახო ჩემი სიფათი!..

ეთერ სამხარაძე-ჯლამაძე




— ეტყობა, თევზის დღე ქათმებსაც ჰქონიათ, თევზის სუნად რომ ყარან!

ნახ. ე. დეისაძისა



უსიტყვოდ



— მასწ... გაკვეთილი რა შუაშია, რვა მარტს გილოცავთ!

ნახ. ა. ერაძისა



უსიტყვოდ

# ინტერვიუ

ბრიალებს XX საუკუნის დასასრული! ტემპი, ტემპი! და რა გასაკვირია, რომ ამ სიჩქარეში ერთ-ერთ მანქანას, ჩვეულებრივს, კარგად ნახმარს, ძველს, უკვე ჩამოსაწერ ტაქსს მოტორი ჩაუქრეს და ბეკინა სამანიშვილის ჯორივით შუა ქუჩაში გაქირზე შედგეს. გაჩერდა მანქანა და საცობივით დაეცო არც ისე ფართო პროსპექტს... ატყდა საყვირების გნიასი, ყვირილი, ლანძღვა და გინება. აი, სწორედ ამ დროს ჩვენი კორესპონდენტი ეწვია შიგნიდან ტყავებით მორთულ, გარედან ათასგვარი შუქფარებით აჩონჩხლილ „ჟიგულს“.

— უკაცრავად, — მიმართა კორესპონდენტმა ახალგაზრდებით გაჭედილ მანქანის მძღოლს, — ხომ ვერ აგვიხსნით, რატომ აძლევთ სიგნალს? ამით მოძრაობა დაჩქარდება?

— ბიჭო, გოიმი ნახე! — მიუბრუნდა იგი თანამემანქანეთ, — ერთი ამას ჩვენებურად ვუთხრათ, რომ გვინდა და ვაპიპინებთ?!

ექსცესების თავიდან ასაცილებლად კორესპონდენტი საჩქაროდ გაეცალა „მუსიკალურ ახალგაზრდას“ და უახლოეს შვინდისფერ „ვოლგაში“ გამოჭიმულ მწიფე შვინდისფრად ლოყებაღაჟღაჟებულ საშუალო ასაკის მამაკაცს მიეახლა.

— მითხარით, თუ შეიძლება, რატომ აყვირებთ სიგნალს? ეს საცობი ხომ თქვენი წინა მანქანის ბრალი არ არის?!

— ახალი სიგნალები მაქვს, ყმაწვილო, და ვამოწმებ! — ისეთი შვინდის შეჭამანდივით მჟავე ირონიით უპასუხა მან, რომ კორესპონდენტისათვის ყველაფერი დღესავით ნათელი შეიქმნა და მაშინვე გაეცალა.

იგი გვერდებდაბეჟილ, მაგრამ მაინც ახალი მანქანის მძღოლს, მიუახლოვდა, რომელიც ალისფერფრჩხილებიან თითებს მონოტონურად უკაკუნებდა სიგნალის ღილაკს.

— უკაცრავად, ქალიშვილო, რატომ ასიგნალებთ? ეს ეხმარება ავტოინსპექციას მუშაობაში?

— შემოდგომაზე ქორწილი მაქვს და ვვარჯიშობ! — კეკლუცად უპასუხა მან და სიგარეტი ცხვირში შეაბოლა.

ამასობაში საცობი გაიშალა და მანქანების ნაკადი მდორე მდინარესავით დაიძრა.

თბილისის ქუჩებში დღეს ათასობით მანქანა დადის. ასეთი საცობები ხანდახან ხდება, განსაკუთრებით პიკის საათებში. ჩვენ გვგონია, დროა შევიგნოთ, რომ სიგნალების ღრიანცელით საქმე არ კეთდება დიდხანს ვაპიპინოთ?

ზ. გემაზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ლ. მართაშვილისა



უსიტყვოდ




უსიტყვოდ

## სარვამარტო გახუმრება

აჰა, ისევ რვა მარტია —
წელიწადის ნატვრისთვალი,
თუმც ჯერ კიდევ ვალად მადევს
შარშანდელი მარტის ვალი.

გულს ვიმაგრებ მარტო იმით,
რომ ამ დღეში არ ვარ მარტო
და ყველა კაცს დარდად ექცა
საჩუქარი სარვამარტო.

მე შენ გეტყვი გადარჩები
სამამულო სუვენირით?!
იმპორტულის ძიებაში
ლოლიალობ სულელივით.

მივიფიქრე, მოვიფიქრე,
ვიაზრე და მოვიაზრე,
მაგრამ სახლში ჩემი აზრი
შეაფასეს ორიანზე...

მაინც მინდა გაგიმხილოთ
(„ნიანგს" როგორ ვუღალატებ?!)
ჭკუით უნდა „შევებრძოლოთ..."
ჩვენს შინაურ „მუხანათებს..."

განვაცხადე, რომ ამ რვა მარტს,
თქვენს სახელზე, ჩემო კარგო,
თვითეულმა მამაკაცმა
თითო ნერგი უნდა დავრგოთ.

მოდი, მხარი დამიჭირე,
არ გამოთქვა სინანული!..
როგორც ხედავ, საჩუქარი
გახლავთ ორიგინალური.

ზე აზიდა ცოლმა წარბი —
ისარივით წამახული
და დამჭექა: იმ ხის ძირში
მენახეო დამარხული...

ამის შემდეგ გადავწყვიტე
(მოიწით და ყური მიგდეთ):
შვიდ მარტს ოჯახს გავებუტო,
ხოლო, ცხრაში — შევურიგდე.

და რომ რისხვაც ავიცდინოთ,
არ დაგვეფშვნას თავზე თეფშიც,
ამ წელს მაინც გავიხიზნოთ
შეპირებულ ნაკვეთებში.

ო, ნუ მიწყენთ ამ სტრიქონებს,
ნურც შეიცვლით ფერს და იერს;
ძვირფასებო, ვხუმრობ, თორემ,
არ დაგაკლებთ... წყნეთურ იებს!

ოთარ შალამბერიძე

## ღიმილიანი 8 მარტი

● რამდენიც არ უნდა ასვათ, 8 მარტი მუცელს არ გადაჰყვება.

● ასეთი გაბადრული სახე კაცს ერთი კვირა მაინც არ უნდა გაჰყვეს?

● 8 მარტს რომ ჩვენი ცოდვები ავკიდოთ, ფეხს ველარ მოიცვლის.

● ერთი-ორი წელიც და 8 მარტს დედამიწა ალავერდს პირდაპირ ვენერასთან გადავა.

● მოდით, სიყვარულის მტრის დამარცხებისა დავლიოთ!

ზ. კ.

ნახ. დ. თოთიბაძისა



სარვამარტო სუფრა

## შოვნა და პატიოსანი სახელი

**თუ** კაცი ხარ და შნო გაქვს, არ დაიკარგები, ისეთ სამსახურს გამოიგონებ, რომ ფული შემოდგომის ფოთოლივით გაცვივდებოდეს თავზე.

— მაშ, თქვენ გამომგონებელი ბრძანდებით, ბატონო ფულიხოსროვიჩ?

— ჩემ საქმეში მენდელეევი ვარ.

— მენდელეევმა 63 ელემენტი დატოვა, თქვენ რას უტოვებთ კაცობრიობას?

— მე კაცობრიობასთან საქმე არა მაქვს, მაგრამ ელემენტარული ხერხები მეხერხება, რაც შეეხება დატოვებას, ჯერ არ წავსულვარ.

— რა არის თქვენი მრწამსი?

— შოვნა და პატიოსანი სახელი. საკუთარმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ვაჭრობას თავისი საფუძველი, თავისი ძირი და ფესვი აქვს გადგმული.

— როგორ ახერხებთ შოვნას და, ამავე დროს, უანგარო, პატიოსანი ადამიანის სახელის ტარებას?

— ძალიან ძნელია, მაგრამ ეგეც მოსახერხებელია, სიმართლე რომ ვთქვა და კედელს იმპორტული ფეხსაცმელები მივაყარო, გაჩერდება ზედ?

— იმპორტულ ფეხსაცმელს ვინ გააჩერებს!

— მეც მანდა ვარ. ვისაც შეუძლია საქმე მოაკვარახჭინოს, ფერ-უმარილით შეალამაზოს, გართულებული გაამარტივოს, გაყეყილი გატეხოს, პრაქტიკაში გამართლებული ხერხით წარმოგვიდგინოს, ის არ დაიკარგება და მეც არ დავიკარგე.

— მაგალითად?!

— ბავშვობაში საცირკო ატრაქციონებიდან ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე კიომ მოახდინა. გასტროლების დამთავრებისას, უკანასკნელ წარმოდგენაზე იგი საიდუმლოებით მოცულ ზოგ ნომერს ნათელს მოჰფენდა ხოლმე, რის გამოც მაყურებელი კიდევ უფრო გაკვირვებული რჩებოდა.

როგორც ჩანს, თქვენც უკანასკნელი წარმოდგენისათვის ემზადებით. რით შეგიძლიათ გაგვაკვირვოთ?

ჩემს „პატარა დუქანში" თბილისის ოთხი ცირკი დაეტევა და ხუთი კიო დაიბნევა. აბა, ვინ რა იცის ჩემი ნათესავი, მეგობარი, თუ საქმის ამხანაგი ვინ არი. შინაურების თათბირს ხშირად ვიწვევ და ვაცხადებ: ხვალ ამას და ამას ვღებულობ. შენ, ის, ისინი და ეგენი ამა და ამ დროზე მოხვალთ იქ. შემთხვევითი მომხმარებელი არ დამანახოთ. მომხმარეც თქვენა ხართ და მომხმარებელიც.

— როგორ გეკადრებათ, ჩვენ თქვენთანა ვართ! როგორც იტყვიან, ხელი ხელს ბანსო და ორივე ხელი... ხელის ჭუჭყით გასვრილი ღმერთმა ნუ მოგვიშალოსო, — მეუბნებიან ისინი და საქმეც ელემენტარული ხდება. ჰოდა, კიდევ რამდენი ელემენტარული ელემენტია ჩემს „დუქანში", ვინ დათვლის.

ჩვენც თქვენთანა ვართ დათქმულ დროზე და ელემენტების დათვლაშიც მოგეხმარებით, ბატონო ფულიხოსროვიჩ!

ჟანი სიხარულიძე

ნახ. მარინე ლომიძისა



უსიტყვოდ

# „ჰუმანოიდი“ ნოღელადან

**ადრე** მდინარეების პირას ჭალები, ხოდაბუნები, ბაღჩა-ბაღები მწვანობდნენ, ახლა კი რესტორნები, სასადილოები, სამწვადეები, პავილიონები, სასაუზმეები ისე მჭიდროდ შემოეჯებირნენ ჩვენი მდინარეების ფლატეებს, რომ, გეგონებათ, მტკვარს, რიონს, ალაზანს, არაგვსა და სხვა და სხვას კრეისერები, დრედნოუტები, კატარღები და იახტები მოადგნენო. ამ გავლენიანი მდინარეების გამოისობით პატარა მდინარეებისა და ხევხუვების გარესტორნებასაც მიჰყვეს ხელი. გემბანრესტორანმა ბევრ ფულის მშოვნელსა და მხარჯველს დაუკარგა მოსვენება. პლუტოკრატული სენით შეპყრობილები **აბაშის რაიონშიც** აღმოჩნდნენ, მათ მდინარე ნოღელას ფლატეს მიაშენეს პავილიონი „ნოღელა“, რომლის **„მოცულობა და მისი გარემო ხედი ვერ აკმაყოფილებდა მდინარე ნოღელას კეთილმოწყობის უზრუნველყოფას და საჭირო იყო ამ პავილიონს მიშენებოდა სამზარეულო და საკუჭნაო, რისთვისაც უნდა დახარჯულიყო 11.600 მანეთი**“! — 1971-72 წლებში წარმოთქვა აბაშის რაიკოოპერატივის გამგეობის ყოფილმა თავმჯდომარემ ამხ. **გ. კაჭარავამ.**

მდ. ნოღელას ესიამოვნა მისდამი ასეთი გულისხმიერება და „ოდოია“ შემოსძახა. „ნოღელას“ სამშენებლო პოლიფონიამ და გ. კაჭარავას წაქეზებამ მოაჯადოვა **აბაშის რაიკოოპერატივის ნავთობის საწყობის გამგე რაუდენ ცანავა** და პავილიონ „ნოღელას“ საკუთარი სახსრებით მიაშენა 56 კვ. მეტრი სამზარეულო, „ქიგულის“ ერთ გაქროლება გზაზე დააგო ასფალტი, ამოჭრა ჭა, ააგო კომფორტული საპირფარეშო, ჩადგა პურის საცხობი, დაწნა მეგრული ფაცხა და როცა ახალაშენებულ თევზის აუზში თავის „გასაბატონებლად“ ანკესი ისროლა, წყალი აიმღვრა — ვერ მიიღო პავილიონ „ნოღელას“ დამხმარე მეურნეობის დირექტორობა და აყვირდა: „მომეცით ჩემი 11.600 მანეთი, კაჭარავამ რომ დამახარჯვინაო!“ (კაჭარავა კარგახნის გადასული იყო სხვა სამუშაოზე.) ფული რომ არავინ დაუბრუნა, ნავთის საწყობის გამგე ისე ადავდა, რომ მთელ აბაშის რაიონში ნავთის სუნი დააყენა. ამიტომაც მისი საჩივარი განიხილა გეგეჭკორის რაისასამართლომ, რომელმაც აბაშის რაიკოოპერატივის გამგეობას „სთხოვა“, რომ რ. ცანავასთვის, 11.600 მანეთის ნაცვლად, 4.819 მანეთი მაინც დაებრუნებინა. რაიკოოპერატივის გამგეობის ახლანდელმა თავმჯდომარემ შ. დონდუამ რ. ცანავას სალაროში ხელი არ შეაყოფინა იმ მოტივით, რომ **„რ. ცანავას არ გააჩნია აბაშის იმდროინდელი ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო და მის მიერ შესრულებული სამუშაოთა მოცულობის დამადასტურებელი საბუთები!“**

**„გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, თანახმად საქ. სსრ სამოქალაქო სასამართლო საპროცესო კოდექსის 332 მუხლისა, გთხოვთ: გეგეჭკორის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სახალხო სასამართლოს“.** — ბრძანეს უმაღლეს სასამართლოში.

გაიმართა სასამართლო. გეგეჭკორის რაისახალხო სასამართლოს 1976 წლის 2/VII-ის გადაწყვეტილება გააუქმა სსრ სსკ 49 მუხლის მოთხოვნათა საფუძველზე იმ მოტივით, თითქოს დაზარალდა რაიკოოპერატივის გამგეობა.

**„თუ მე დავხარჯე 11.600 მანეთი, როგორღა დაზარალდა რაიკოოპერატივი?“** — გაოცდა რ. ცანავა და წულუკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს მიაჩერდა, რომელმაც აგრეთვე ფულის მიღებაზე უარი უბოძა. ცანავამ ვერ დაამტკიცა, რომ „ნოღელას“ მშენებლობაზე თავისი შრომა და ფული დახარჯა.

ისმის კითხვა: მაშ, ვინ ააშენა კანონგარეშე ამდენი რამ? ვინა და, „ულტრაჰუმანოიდმა“, რომელიც, თუ არ ვცდებით, ბევრ ქალაქში ახლაც დაფრინავს.

აი, ამ ჯურის „ჰუმანოიდების“ ბრალია ამდენი განცხადების, სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საჩივრის წერაკითხვა.

ახლა „ნოღელას“ რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. საინტერესოა, სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციები აწარმოებენ სამუშაოებს, თუ ჩვენი დროის ჰუმანოიდები? ამას, ალბათ, მაშინ შევიტყობთ, როცა კვლავ აქეიფდება „ნოღელა“.

ავთანდილ ადისძე

## „ნიანგს“ პასუხობენ

„**რამდენიმე შეკითხვა რკინიგზის მესვეურებს“ — ასეთი სათაურით ჩვენი ჟურნალის გასული წლის 21-ე ნომერში დაბეჭდილ ლექსში დასმულ კითხვებს პასუხობს ა/კ რკინიგზის უფროსის პირველი მოადგილე ამხ. ა. კვანტალიანი:** „ლექსში — „რამდენიმე შეკითხვა რკინიგზის მესვეურებს“ მოტანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება: სამგზავრო მატარებელში ერთ ადგილზე ორი ბილეთის გაყიდვისათვის მრავალი მოლარე და დისპეტჩერი იქნა გათავისუფლებული.

რკინიგზის ხელმძღვანელობის მიერ განხილულ იქნა სამგზავრო მატარებლების არადამაკმაყოფილებლად მომზადების საკითხი, რაც გამოიხატება თეთრეულის უხარისხოდ გარეცხვაში, ვაგონების ტექნიკურ უწესივრობაში, ვაგონის გამცილებლების მგზავრებთან უხეშ დამოკიდებულებაში და სხვა.

ზემოაღნიშნულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის გზის უფროსის ბრძანებით სოხუმის სავაგონო უბნის უფროსს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო რკინიგზის თბილისის განყოფილებას დაევალა განიხილოს თბილისის სავაგონო უბნის უფროსის მოადგილის ამხ. ღოლიძის აღნიშნულ თანამდებობაზე შემდგომში დატოვების საკითხი.

რკინიგზის სამტრედიისა და თბილისის განყოფილებების უფროსებს მიეცათ განკარგულება უახლოეს დროში აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებები, გაატარონ ქმედითი ღონისძიებები მგზავრთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.“

ნახ. ი. ყეინაშვილისა




უსიტყვოდ

ნახ. გ. ლომიძისა



ინგლისური კომპანია „ბრიტიშ აეროსპეის“, რომელიც „ჰარიერირის“ ტიპის შვეულად მფრენ გამანადგურებლებს უშვებს, ამზადებს პირველ პარტიას — 100 თვითმფრინავს — ჩინეთში გასაყიდად.

(გაზეთებიდან)

ნახ. ჯ. დეისაძისა





მთავარი რედაქტორი ზურლან გემაზაშვილი სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიშნიანიძე, გ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 5/II 79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/III 79 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 373 უე 00655 ტირ. 158.350 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.


ნახატი თემების ავტორები: გ. აბაშიძე, მ. ახლამაზაშვილი, ჰ. ლეიხაძე, ა. ერაძე, დ. თოთიბაძე, გ. ლომიძე, ლ. მართაშვილი, ე. მაყაშვილი, ა. ოქროპირიძე, ი. ყენიაშვილი, რ. ჭაში, ზ. ჩაჩიბაია.